მოსახლეობის განსახლება და მიგრაცია

მოამზადა მაია ბლიაძე

მოსახლეობის განსახლებაზე მოქმედი ფაქტორები

ბუნებრივი პირობები

ეკონომიკური ფაქტორი

ისტორიული ფაქტორი

ბუნებრივი პირობები





მოსახლეობის განსახლება
ზღვიდან დაშორების მიხედვით

მოსახლეობის განსახლება
სიმაღლებრივი ზონების მიხედვით

ეკონომიკური ფაქტორი

მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები

მოსახლეობის დასაქმება

მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვე

მსოფლიოს ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით	სახელმწიფოთა მაგალითები	მოსახლეობის სიმჭიდროვის ამსახველი სურათის გამომწვევი მიზეზები
ქვეყნები, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე თანაბრად დაბალია.	*ნიგერი* *ავსტრალია* *მონღოლეთი*	*მშრალი (არიდული) კლიმატი;* *არა აქვთ ზღვაზე გასასვლელი*
ქვეყნები, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე თანაბრად მაღალია.	*ინდოეთი* *გფრ* *იტალია* *საბერძნეთი*	*საცხოვრებლად ხელსაყრელი პირობები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე*
ქვეყნები, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე არათანაბარია და ზოგან დაბალია, ხოლო ზოგან - მაღალი.	*კანადა* *რუსეთი* *ბრაზილია* *ჩინეთი*	*ბუნებრივი, სოციალური და ეკონომიკური პირობები მკვეთრად განსხვავებულია ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში*

მოსახლეობის სიმჭიდროვე მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით, 2023 წელი



რა არის მიგრაცია?

- მიგრაცია (ლათ. Migratio — გადასახლება) ადამიანის გადაადგილებაა ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ;
- მიგრაცია ადამიანების გადასახლებაა სხვადასხვა ვადით (რამდენიმე საათიდან სიცოცხლის ბოლომდე), რომელიც სტატისტიკურად აღრიცხვადი საზღვრების (ძირითადად ქალაქის, ქვეყნის და სხვა ადმინისტრაციული საზღვრების) გადაკვეთაში გამოიხატება.

ვინ რას ფიქრობს მოსახლეობის მიგრაციაზე?

"ჩვენ ყველა დაკავშირებული ვართ ერთმანეთთან და ჩვენს მეზობლებთან; ის, რაც ხდება ერთ ადგილას, საბოლოოდ აისახება ყველგან.“

მარტინ ლუთერ კინგი

„ადამიანები არ არიან გადამფრენი ფრინველები და მათი გადასახლება არა ბიოლოგიური, არამედ საზოგადოებრივი კანონებით აიხსნება“.

ნ. ნ. ბარანსკი

„მიგრანტი ვარ და ვიცი, რას ნიშნავს იყო უცხოელი. ამ გამოცდილებამ მასწავლა, რომ უფრო მნიშვნელოვანია ვიყო ადამიანი, ვიდრე ვაკუთვნოდე რომელიმე ეროვნებას.“

ალბერტ აინშტაინი

"მიგრაცია არის კაცობრიობის ისტორიის ნაწილია. ის მრავალი საზოგადოების განვითარებისა და კულტურული გამდიდრების საფუძველია.“

კოფი ანანი

ვინ რას ფიქრობს მოსახლეობის მიგრაციაზე?

„ამერიკა ყოველთვის იყო იმიგრანტების ქვეყანა. ჩვენი ყველაზე ძლიერი მხარე ჩვენს მრავალფეროვნებაშია.“

ბარაკ ობამა

"ჩვენი აწმყო არის იმიგრანტების შრომისა და განწყობის შედეგი, ჩვენი მომავალი კი დამოკიდებულია მათზე, ვინც დღევანდელ დღეს ჩვენსკენ მოდის.“

ჯონ კენედი

„მიგრანტები და ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ ჩვენი დახმარება და მხარდაჭერა. ჩვენ უნდა ვიყოთ მათი ხმის გამაძლიერებლები და ხელი შევუწყოთ მათ უკეთეს ცხოვრებას.“

მალალა იუსაფზაი

"არავინ ირჩევს ლტოლვილობის გზას. ეს ხდება მაშინ, როდესაც საშიშია დარჩენა და გადარჩენის გზა მხოლოდ გაქცევაა.“

ანჟელინა ჯოლი

მოცემული ციტატები ასახავს მიგრაციის მრავალფეროვნებას, მის სირთულეებსა და მნიშვნელობას გლობალურ საზოგადოებაში.

როგორი მიგრაციები არსებობს?

- მუდმივი მიგრაცია - დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის სამუდამოდ შეცვლასთან.
- დროებითი მიგრაცია - როდესაც გადასახლება ხდება საკმაოდ ხანგრძლივი დროით.
- სეზონური, ქანქარისებური, შიდა, გარე, იძულებითი და სხვა სახის მიგრაციები.

მიმართულების მიხედვით

გარე მიგრაცია

მოსახლეობის გადაადგილება სახელმწიფოებს შორის

ემიგრაცია – პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზეზებით უცხო ქვეყანაში მცირე ხნით ან მუდმივად საცხოვრებლად წასვლა.

იმიგრაცია - (ლათ. immigro - „ჩავსახლდები“) ერთ ქვეყანაში სხვა ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების შესვლა მუდმივი ან დროებითი ცხოვრების მიზნით.

რეემიგრაცია - სამშობლოში დაბრუნება

მიმართულების მიხედვით

შიდა მიგრაციები

მოსახლეობის გადაადგილება საკუთარიქ ქვეყნის ფარგლებში



ქალაქიდან ქალაქში

სოფლიდან სოფელში

სოფლიდან ქალაქში

ხანგრძლივობის მიხედვით

დროებითი მიგრაცია

სეზონური
(სეზონური სამუშაოები)

ქანქარისებური
(გარეუბნიდან ქალაქში სამუშაოდ, სასწავლებლად)

ხასიათის მიხედვით

ნებაყოფლობითი

იძულებითი

მიგრაციის მიზეზები

- სოციალურ-ეკონომიკური
- შრომითი
- პოლიტიკური
- ეთნიკური
- რელიგიური
- სამხედრო
- საყოფაცხოვრებო
- ეკოლოგიური, მათ შორის კლიმატის ცვლილების გამო

მიგრაციის სალდო

- სალდო ნიშნავს ნაშთის მაჩვენებელს.
- მიგრაციის სალდო სახელმწიფოდან გასული და შემოსული ადამიანების შეფარდებაა.
- თუ ქვეყნიდან გასული ადამიანების რიცხვი აღემატება ქვეყანაში შემოსულთა რიცხვს, მიგრაციის სალდო უარყოფითია, ხოლო თუ შემოსული ადამიანების რიცხვი ჭარბობს გასულების რაოდენობას, სალდო დადებითია.

მსოფლიოს ქვეყნები მიგრაციის სალდოს მიხედვით 1000 ადამიანზე, 2022 წელი



წყარო: United Nations Population Division

მიგრანტთა საერთაშორისო დღე

- მსოფლიოში მიგრანტთა ყოველწლიურად მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2000 წელს 18 დეკემბერი მიგრანტთა საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.
- მას მერე, ეს დღე მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში და, მათ შორის საქართველოშიც, ყოველწლიურად აღინიშნება.
- ამ დღის დაწესების წინაპირობა 1990 წლის 18 დეკემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის მიღებაა.

მიგრანტთა საერთაშორისო დღე

2013 წელს გაერო-ს საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების უმაღლესი დონის დიალოგის შეხვედრაზე წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმით დაგმობილია რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის გამოვლინებები მიგრანტებთან დაკავშირებით.

თუ გინდათ მეტი შეიტყოთ მიგრაციის შესახებ, ეწვიეთ ინტერნეტბმულს: https://www.iom.int/